

ყოველ დღე ორშაბათს ვარდა

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43
კანტორა რედაქციისა: მელიქიშვილის სტამბაში, ბანაგის ქუჩაზე.

ხელის-მოწერა: მიიღება კანტორაში. ბარევე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. ВЪ редакціи газ. „Дროба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოახის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათი

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ქაზახურს ენაზე.
ფასი განცხადებისა: დღე ერთსა—1 კაპ., ასომთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივით ციეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ცალკე ნომერი

„დროებას“ იწყიდება:

- ვართანოვსის წიგნის მალაზიაში (ძუკიის ხილზე, მირზოევის შენობაში)
- გრიშუროვის წიგნის მალაზიაში (ძუკიის ხილთან, ზუბალოვის სახლში)
- „სულთანის“ თამბაქოს მალაზიაში (სუღის ქვეშ).
- „ქარდანახის“ სარდაფში (სასახლის ქუჩაზე, არწრუნის ქარვასლაში)
- ანანუროვის თამბაქოს მალაზიაში (ბულვარზე)
- გრიგოლოვის მალაზიაში („ძაგანის“ სასტუმრის ქვეშ, მირზოევის სახლში).
- ჯიმშაროვის თამბაქოს მალაზიაში (ძუკიის ხილზე).

ჭუთათსში—სვ. ჩომახიძესთან (ზუბერნიის სტამბაში).

„დროება“—ჭუთათსში

ისყიდება სვიმონ ჩომახიძესთან, ზუბერნიის ტიპოგრაფიაში, ბულვარის პირდაპირ.

ერთი ნომრის ფასი—შაური

გაზეთი მიიღება ჭუთათსში საღამოს 8 საათზე იმავე დღეს, რა დღესაც თფილისში გამოდის.

ტელეგრაფები

ბრძოლის ველიდან

სტამბოლი, 1 აგვისტოს. რამდენიმე ატრიალი სულეიმან-ფაშის არმიისა ბალკანის მთების გადაღმა გადავიდა.

მსკი-ზაგრას ყველა მამრობითი სქესის ქრისტიანები ოსმალს მთავრობისაგან შვიონებად არიან ჩათვლილი და ამისათვის სიკვდილით დასჯას უპირებენ.

ათინა, 1 აგვისტოს. აქაურ ხალხში ძალიან მოძრაობაა და ღელვა; ოსმალეთთან ომის გამოცხადებას ეჩქარებია.

ლონდონი, 1 აგვისტოს. გაზეთი „Morning Post“ ამბობს, რომ ოსმალს მმართველობამ მოახერხა აქ ხუთი მილიონი გირვანქა სტერლინგის (35 მილიონი მანეთის) სესხის აღება.

ომის აზრები

აზიის ბრძოლის ველიდან

გაზეთი „ძაგანა“ გვაცნობებს, რომ შრევენის გუბერნიის მჩმიადინის უეზლიდამ რამდენიმე ოჯახი ქურთებისა გადასულან ოსმალეთის სამზღვარზედა იქაურ ქურთებს მიეკვდენო. ახლა გამოძიება არის იმის შესატყობლად—თუ რა მიზეზისანგ გაიქცნენ ეს ქურთები ოსმალეთშიო.

გაზეთი „Голос“-ის მცირე აზიელი კორრესპონდენტი უფ. ბრადოვსკი გვაცნობებს, რომ ზეინის ბრძოლის დროს ჩვენის მხრით უკანასკნელი 2,000 კაცი იყო დაჭრილი და დახოცილიო. მარტო იმ დახოცილების რიცხვი, რომლებზედაც ცნობა მეორე დღეს შეპკრიბეს 900-კაცამდინ იყოო. რამდენიმე აფიცრისა და ბევრი სალდათების გვამები მტერს დარჩა ბრძოლის ველზედაო.

ზოგიერთს რუსულ გაზეთებში იწერებოდნენ ამას წინათ, რომ ნამდვილი სარდალი და წინამძღომელი ოსმალს მცირე აზიის არმიისა, მუხთარ-ფაშა კი არა, ინგლისის ლენერალი ქემპელი არისო, რომელსაც ეკუთვნის ყველა პლანები და განკარგულება მცირე აზიის ბრძოლის ველზედაო.

ამ ხმის თაობაზე ინგლისელი გაზეთის „Times“-ის მცირე-აზიელი კორრესპონდენტი, სხვათა შორის, იწერება, რომ ეს ამბავი რომ მართალი იყოს, მაშინ, უეჭველია, ლენერალი ქემპელი უფრო პატივცემული და მიღებული იქნება იქ, მუხთარ-ფაშის ჯარში, ვინემ ახლა არისო: მე მინახავს ჩემის თვლითო, ამბობს ეს კორრესპონდენტი, რომ ღენ. ქემპელისათვის ხშირად კარავიც არ უთავაზვებიათ ოსმალებსაო და კიდევ უფრო ხშირათ მოსამსახურე არ ჰყოლიაო და სხვ. სხვა რომ არა იყოს-რა, მარტო ეს გარემოება გვიმტკიცებსო, რომ ლენერალი ქემპელი მარტო თავის პირ-და-პირ მოვალეობას ასრულებს მცირე აზიის ოსმალს არმიაში და სრულებითაც ისეთი როლი და ბატონობა არა აქვს იქ იმას, როგორც ზოგიერთები მიაწერნო.

მტრუქ-დარევი კორრესპონდენტი გაზეთის „Голос“-ისა იწერება რუსის ჯარის ბანაკიდან:

„როგორც აქაურ სომხებმა შეიტყეს, რომ რუსის ჯარი სტოვება შარსს, უკან იწევსო და მუხთარ-ფაშა კი აქეთკენ მოდის დიდი ძალის ჯარითაო, იმ წამსვე აებარგნენ და ალექსანდრეპოლში გადავიდნენ. ამის გამო ამ ქალაქში სანინელი სიძვირე გაჩნდა ყველაფერისა.

„ბევრი განსაცდელი გამოიარეს საწყალ სომხებმა ჩვენის წყალობით. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ჩვენ ასე არ დავბრუნდებოდით უკან და უპატრონოთ არ დავადგებდით იმათ და როგორც იმათ ქვეყანაში ფენი შევდგით, პირველადვე ყველანი ჩვენკენ გადმოვიდნენ და ჩითიც შეეძლოთ გვევლოდნენ ოსმალს ჯარის წინააღმდეგ.

„ზეინთან დამარცხების შემდეგ, ჩვენ იძულებული შევიქნით, რომ უკან დაგვეწია. ოსმალები ისევ დაეპატრონენ თავის ქვეყანას და ვაი იმათ, ვინც აქედამ გაქცევა ვერ მოასწრო. ოსმალები, რასაკვირველია, ისე უყურებენ იმათ, როგორც მოალაატეებს, მოალაატეებს გაჭირების დღესა, და ისე ეტყვიან: სახლკარს არ უზოგვენ და ცოლშვილსა...“


„მოსკოვის უწყებებში“ გადმობეჭდილია შემდეგი ტელეგრაფიანათ სტამბოლელ გაზეთიდან „Lewand Herald“-იდან:

„სტამბოლი, 27 ივლისს. ოსმალს ჯარი სოხუმ-ძალეს სტოვებს. აქაური ადგილობრივი მცხოვრებლები (აფხაზები), რომელნიც ოსმალებს მიემხრნენ ოსმალეთში უნდა გადმოიყვანონ დასასახლებლად.“

არა გვერანია, რომ ეს ამბავი მართალი იყოს, რადგან მართალი რომ ყოფილიყო, ყველაზე უფრო ადრე, უეჭველია, ამას ჩვენ შევიტყობდით...

რუსულ გაზეთებში დაბეჭდილი ტელეგრაფმა გვაცნობებს, რომ ამ წამად 26 ივლისს. ძაგანის ნამესტნიკი ალექსანდრეპოლში არისო და მალე იქვე თ. სვიატოპოლკ-მირსკისაც მიელიანო. რადგან აქ ახალი ჯარები მოგროვდა, ამის გამო ჩვენი არმია ხელ-ახლად შარსისაკენ წინ წაწევას აპირებსო.

ინგლისურ გაზეთს „Times“-ში დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრაფი 21 ივ-



ლისს ზუგდიდიდამ გაგზავნილი ამ გზეთის საკუთარის კორრესპონდენტი-საგან:

„რადგან აჯანყებულ აბხაზებმა უარი განაცხადეს დამორჩილებაზე, ამის გამო ღენ. აღნაზოვმა 1,000 კაცი გაგზავნა იმათ დასასჯელად. მტერი მოემზადა და გამაგრდა კარგ ალაგებში; მაგრამ ჩვენ გავდევნეთ ისინი ამ ალაგებიდამ. ათი ვერსი წაიწია სამხრეთ-დასავლეთით ამ ჯარსა და გზაზე რაც სოფლები შეხვდა, სუკველა დასწვეს. თერთმეტი საათის განძავლობაში თოფის-სროლა არ გაწყნარებულა. ამის შემდეგ რუსის ჯარი დაბრუნდა თავის ბანაკში, რომელიც იმყოფებოდა სოფ. ილორიდამ ათ ვერს-ზედ. რუსებს დაუხოცეს 13 კაცი. ამ ჯარს თან ოთხი მთის ზარბაზანი ჰქონდა“

მაროკოს ბრძოლის ველიდამ

პენელი კორრესპონდენტი ლონდონის გაზეთის „Times“-ისა იწერება, რომ 20 ივლისამდრი სულ 50,000 კაცი რუსის ჯარი იყო ბალკანის მთებზედ გადასულიო. ამ ჯარის უფროსი ლენერალი ბურკოა, რომელმანც რამდენიმეჯერ გაიმარჯვა ოსმალთს ჯარზე. მაგრამ ახლა კი იმის ხელ-ქვეით ჯარის საქმე ძალიან ცუდა მდგომარეობაში არისო, რადგან ოთხივე მხრივ იმათ ოსმალთს ჯარი ემუქრება: ადრინოპოლიდამ და იამბოლიდამ—სულეიმან-ფაშა, ოსმან-ბაზარიდამ მეჰმედ-ალი-ფაშა, მდ. ძიდოს მხრიდამ—ოსმან-ფაშა და ამას გარდა სოფიის ჯარი, რომელიც ადვილად შეიძლება ჩილიპოპოლს მიიყვანონ.

ამავე გაზეთის სპეციალური სტამბოლელი კორრესპონდენტი შემდეგ ამბავს იწერს: რუსებისა და ოსმალების ჯარების განაწილებაზე ლობრუჯაში და ბალკანის მთებს გადადმა:

„სულეიმან-ფაშა, რომელსაც ხონთქარმა სტამბოლის დაცვა მიაწოდო, ამჟამად, 15 ივლისს, ადრინოპოლშია და იმის ხელ-ქვეით არის მომეტებული ნაწილი იმ ჯარებისა, რომელიც ჩინოვანთაში მოქმედებდა. მე დამარწმუნეს, რომ სულეიმან-ფაშას 57,000 კაცი ჰყავსო.“

„ამ სუთი დღის წინათ, მე მომივიდა ცნობა, რომ ბალკანის მთებს გადმოღმა რუსების მხრით მხოლოდ 12,000 კაცი არისო. თუ ეს მართალია, ამათი მდგომარეობა ძალიან საშიშია. მაგრამ მეორეს მხრით, თუ იმათ მომეტებული ჯარი გადმოვიყვანეს ბალკანზე, მაშინ უფრო კარგია, იმათი (რუსების) ძალა ლენაი-ზედ დამცირებოდა და შესაძლებელია რომ იმათ იქ ვეღარ გაუწიონ ჯეროვანი წინააღმდეგობა ოსმან-ფაშას, რომელსაც, როგორც ნამდვილად ვიცი, 65,000 კაცი ჰყავს ხელ-ქვეით (სოფიიდან) და მოდინიდან) და ამას გარდა მეჰმედ-ალი-ფაშას—რომელსაც, როგორც ამბობენ, შუმლაში და საზოგადოთ შუმლის ახ-

ლო-მანლო ადგილებში 120,000 კაცი ჰყავს ხელ-ქვეითაო.“

რუსულ გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა ლენის არმიის მთავარ-სარდლისაგან 22 ივლისს გამოგზავნილი:

„ლენერალმა ბურკომ გააფუჭა იამბოლისა და ჩილიპოპოლის რკინის გზა. 18-ს იმან დაამარცხა ერთი ნაწილი სულეიმან-ფაშის არმიისა, რომელიც მინი-ზაგრაში იყო დაბანაკებული. 19-ს იმან დაამარცხა მეორე ატრიადი ოსმალთს ჯარისა. მაგრამ შემდეგ, როცა ლენერალმა ბურკომ ნახა, რომ ყოველის მხრით აწევდა იმას დიდ-ძალი ჯარის სულეიმან-ფაშისა, რომელმანც მინი-ზაგრა უკანვე აიღო, ისევ უკან დაიწია ბალკანის მთებში.“

მრთს ნემეცურს გაზეთში იწერებია ზარიდამ, 25 ივლისს, რომ გუშინ გაცხარებულ ი ბრძოლა იყო ოსმალთს ჯარსა და ბოსნიის აჯანყებულებს შუაო, რომელთაც წინ დესპოტოვიჩი მოუძღოდაო. შიციელი ომის შემდეგ ინსურგენტები საშინლად დაუმარცხებიათ ოსმალთებს, რომელნიც უკან გამოსდევნებიათ ინსურგენტებს; ასე რომ დესპოტოვიჩი თავის კაცებით (300 კაცით) იძულებული ყოფილა, რომ ავსტრიის სამხლვარზე გადასულიყო; აქ ყველა ამათ ავსტრიის ჯარმა თოფ-არალი ჩამოხადა და, როგორც ნეიტრალიტეტის წესი მოითხოვს, გაუშვა ისინი და თან პატიოსანი სიტყვა ჩამოართვა, რომ ამ ომში მონაწილეობას აღარ მიიღებენ.

ლონდონის გაზეთს „Daily Telegraph“-ში ქლონიდამ იწერებია, რომ 20 ივლისს ოსმან-ფაშა დეცა თავს აქ გამაგრებულ რუსის ჯარსაო, დილიდამ სალამოდინ ბრძოლა იყოო და რადგან ოსმალთები კარგის ადგილებიდან მოადგნენ, ამის გამო რუსები ვერ გაუმაგრდნენ და საჩქაროთ გააქციეს უკანაო.

ამავე გაზეთის კორრესპონდენტი იწერება, რომ რუსები სულ კი არ სტოვენ ბობრუჯეს: მაჩინში, ტულჩაში და ბირსოვში გარნიზონებს აყენებენ და ამ ქაოაქებს ამაგრებენო. მეჰმედ-ალი-ფაშა თავის 70,000 კაცით შეერთებულა მიუზ-ფაშას არმიასთან რაზგრადის მახლობლად და ეს შეერთებული ჯარი ამჟამად მდ. იანტრის ნაპირით ქ. ბელი-საკენ მიდის, საცა მთავარი კვარტირაა ხელმწიფე იმპერატორისა.

შემდეგი მოლოცვის დეპეშა გაუგზავნია ხონთქარს ოსმან-ფაშისათვის, რომელმანც, როგორც მოგვხსენებთ, სამჯერ დაამარცხა რუსის ჯარი ქ. პლენ-ნასთან:

„ჩემო ერთგულო მუშირო! თქვენ აღამაღლეთ სახელი ოსმალეთის არმიისა, და მე ვთხოვ ყოველად-მწყალობელ ლმერთსა და მამადს, რომ დაგიფაროს თქვენ ამა და იმ სოფელში თქვენი ქვეყნისა და ხელმწიფის სადიდებლად. ლმერთმა თქვენსავით გამამარჯვებინოს ყველას, ვინც ჩვენი ისლამის დროშის დასაცველად იბრძვის.“

პეტერბურლის „ნემეცურს გაზეთში“, 25 ივლისის ნომერში დაბეჭდილია შემდეგი ცნობა რუსის ჯარების განაწილებაზედ ლენისაკენ:

„ლენის სამხრეთით რუსის ჯარები ნიკოპოლიდამ ტირნოვამდინ და მდ. ლომამდინ არიან ირგვლივ დაყენებული. ამბობენ, რომ აქეთვე უნდა დაბრუნონ ის კორპუსი, რომელიც ამჟამად ბალკანის მთებში იმყოფება. ახალ ჯარსაც მოელოან, რომ შემდეგ ხელახლად ბალკანისაკენ გაწევა შეიძლოს რუსის ჯარმა.“

მეჰმედ-ალი-ფაშა თავის ჯარით ხან პრინც ჰასანს ეხმარება და ხან სულეიმან-ფაშას, საცა საჭიროება აღმოჩნდება. ხმა არის, რომ მეჰმედ-ალი-ფაშამ რაზგრადთან დაამარცხა რუსის ჯარიო.“

საქართველო

დღიური

* * ჩვენი ქალაქის მკერვლებსა (პარტნობებს) და მექედებს დიდი საქმიანობა აქეთ; დღე და ღამე სულ მუშაობენ თურმე; როგორც ვეითხრეს ეს მუშაობა სულ სახედრო კაცებისთვის არისო. ამ მიზეზის გამოც ტანსაცმელი გაძვირდა ძალაქში.

* * მრთს ათასთავან შემთხვევას გვაცნობებენ: ჩვენ გამოჩენილ ჯიბის-ოსტატებს გასულ კვირას ერთი რაჭველი მეპურისათვის 32 მანეთი ამოცალათ ხელად ჯიბიდან და თუქცა საწყალ მებურეს ბევრი უყვირია, მაგრამ კაცი პატრონი არ აღმოჩენია.

* * ჩვენ გვაცნობებს, რომ გასულ კვირას ვერაზე ერთი პატარა ბიჭი ჩავარდნილა მტკვარში და ხუთი დღის შემდეგ სატივოზე უპომნათ ეს ბიჭი დამხრჩვალნი.

* * ჩვენ ვეითხრეს, რომ ამას წინათ მთა-წმინდის ეკკლესიაში ორი თუ სამი კოუქცა დაკარგულა, რომელშიაც როგორც ამბობენ, 120 მანეთი ყოფილა მღვდლები ამ გარემოებაზე კი ხმას არ იღებენ.

* * შუშელი კორრესპონდენტი გაზეთის „Голос“-ისა იწერება, რომ აქაურს საპრობილემიერთს ტუსალს უნახეს ოსმალეთის ხონთქარის პროკლამაცია. ამ პროკლამაციაში, სხვათა შორის, მოხსენ-



ნებულთა თურმე, რომ რუსები აობრებას, აკლებას და დედა-მიწიდან გაქარწყლებას გვიპირებენო და ამიტომ ყოველი მართლმორწმუნე მაჰმადიანი ვალდებული არის, რომ ამ ომში დაეხმაროს საზოგადო სამშობლოს მსამაღეთსა და ხონთქარსაო. ახლა დაემზადნით საომრად და როცა მეორე ქალღი მოგივათ ჩემგანაო, იწერება ამ პროკლამაციაში სულთანნი, მაშინ აღსდგით ყველანი და რუსეთის წინააღმდეგ გაელაშქრებითო.

პორრესპონდენტი იწერება, რომ ეს პროკლამაცია, ადგილობრივ უნდა იყოს დაწერილიო, და ამ საქმის თაობაზე გამოძიება არის დანიშნულიო.

* * მეორე რუსულს გაზეთში „Съ-верный Вѣтникъ“-ში დაბეჭდილია მლადიკავკასიამ მიღებული კორრესპონდენცია რომელშიაც, სხვათა შორის, ავტორი იწერება:

„ამას წინათ ერთი როცა (135 კაცი) სალდათი გაგზავნეს აქედამ ბროზნაში ტყის გასაკაფავად, რადგან ამ ტყეში იმალდებიან აჯანყებული ჩაჩნები. აქ ამბობენ, რომ ბაქსანის ხეობაში (დიდ-შაბარდოში) გაგზავნეს ატრიალიო იმ განზრახვით, რომ შერგის ღიდი დაიკვან იქ, რადგან ამ ხიდს შიში აქვს იმ მსამალოდამ გადმოსულ ჩერქესებისაგან, რომელთაც ადვილად შეუძლიანთ ამ ხეობით გადმოვიდნენ შაბარდოში და ააჯანყონ აქაური მაჰმადიანებიო.“

„დროების“ კორრესპონდენცია

ოზურბეთი, 26 ივლისს. ბურიაში ძლიერ გავრცელებულია სხვა-და-სხვა სნეულება წითელა, მუცელა, ანუ მუცლის ფაღარათი და ციებ-ცხელება მოდებულია მთელ ბურის საზოგადოებაში და იზოცებიან უსამელოების გამო; იზოცებიან ასე რომ ერთი კვირის განმავლობაში მარტო ბასილეთის საზოგადოებაში ორმოც კაცამდინ მოკვდა. სხვა საზოგადოებაშიდაც ეს ბედი უნდა დადგეს.

საუბედუროთ ადგილობრივი მთავრობა და უფლის დოხტური სრულიად ყურადღებას არ აქცევენ ამ სნეულობების დაცხრომას, რომ არ გავრცელდეს ხალხში. ჩვენ იმდენი შეძლება არა გვაქვს, რომ ჩვენი ხარჯით მოვიყვანოთ დოქტორი ჩვენი ავით მყოფების გასამინჯათ, რადგანაც იმას ადვილათ ვერ გავისტუმრებთ. შველა უფლის ქალაქებში არის დანიშნული უფლის დოხტური თავის ფერმლებით და არც ბურია უნდა იყოს მოკლებული ამას.

ჩვენი მხრის მამასახლისები და მგონი ამაზე უფროსებიც გაკეთდენ ამ ომიანობის წყალობით? — მკითხავეთ: როგორ? და ისე, რომ ვინც ორ-ორი იყო სახლ-

ში, ერთი უეჭველად მილიციაში ჩასწერეს და ვისაც ოჯახის გარემოება ნებას არ აძლევს, რომ წავიდეს მილიციაში, ოცდახუთს მანეთს ახდევინებენ.

ბურულეები ამბობენ, ყოველთვის მზათა ვართო ჩვენ, დასაცველად ჩვენი მამულისათვისო, უკეთუ თოფს და წაშალს მოქცევს მმართველობაო; მაგრამ ახლა რომ ყველანი გავიდეთო, ცოლ-შვილნი შიმშილით დაგვეზოცებარო, რადგანაც ჩვენში მიწა ძვირიაო და სანახევროთ ვმუშაობთ სხვის მიწაზედაო.

ჯერ-ჯერობით გურულეების ოთხი დრუჟინაა, დრუჟინაში 800 კაცი ითვლება. სულ 3,200 კაცი არის გასული ცხენოსნებისა. ბურულეები რომ ყოველთვის მზათ არიან ომში გასასვლელათ და საზოგადოთ ყოველივე მმართველობის ბრძანების შესრულებისათვის, იმით დაერწმუნდი, რომ, თორმეტი წლის ყმა-წვილები ენახე რამდენიმე, რომელნიც ახალ სისტემის თოფებს მშვენიერათ ხმარობდნენ და აგრეთვე 60 წლის მოხუცებული კაცებიც, რომელნიც მსახურებენ სხვა-და-სხვა გურულ მილიციონერების დრუჟინაში.

ჩვენი მამასახლისები სწორეთ მელასავით გაეშაქებული არიან ყოველივე საქმეში და საზოგადო საქმეს მაინცადამაინც არ უყურებენ. ბასილეთის საზოგადოებაში სასოფლო კლასის საქმე ძალიან ცუდად მიდიოდა ამდენ ხანს და ესლა დახურვა სურათ; ფულს უნაგარი-შოთ იღებდნენ ხალხიდგან, და სამოცი თუმანი კასის საკუთრება შექმული აქვთ, თუმცა ოზურბეთის უფლის უფროსს ჰქონია მიწერილობა იმ ფულის თაობაზე მამასახლისთან, რომ გადაეხდებინათ და კლასს მოხმარებოდა გასაუმჯობესობლათ. ძლასში, დამტყრეული სტოლებისმეტი, არაფელი მოიძებნება, ფანჯრებიც არა აქვს, რომ დაკეტონ და შიგ შეინახონ ჩასწავლებელი ნივთები, რომელიც გადმოუცია უ. ინსპექტორს სახელმწიფოთ; ის ნივთები ენახე მასწავლებლის სახლში, სტოლ ქვეშ დაყრილი; რომ ეკითხე, რატომ კლასში არ გაქვს მეთქი, პასუხათ მითხრა—მოპარვისა მეშინიაო.

ჩვენი სუდიებიც ამ ხასიათისანივე არიან რაკი სუდიებთან მიაწვეს რომელიმე საქმის გარჩევა, მაშინ ღვთის წყალობა გაქვს ოსტატურად ისინი ირჯებოდნენ მე თვითონ დავესწარი ერთ ადგილს ერთი დედაკაცი ბატის ჭეჭულზედ ჩივოდა. დაფასებული იყო ორ აბაზათ. იე არ მოარიგეს, მანამ განჩინება არ შეადგინეს. განჩინების დაწერის შემდეგ თითო აბაზი მომივიანსაც და მოპასუხესაც გამოართვეს და შემდეგ წაუკითხეს; მაგრამ

არც მომივიანი იყო ~~შეწყნარებული~~ ნებისა და არც მოპასუხე ~~მოპასუხე~~

სუდიების ქრთამის აღებაზე ერთ პაციტეცემულ კაცს საჩივარი შეუტანია უმაღლეს მართველობასთან და დაუბრუნებიათ უკან გამოუსაძიებელათ; მიუნდვია უ. ი. ძ. შვილისთვის. ის ხმასაც არ იღებს ამ საქმეზე; იქნება ამ სუდიებმა იმასაც ოქროს აბები ჩააყლაპეს.

ბურული.

უსხო ქვეყნები

ოსმალეთი

სულთანისათვის ამ ჟამად, როგორც მოგეხსენებთ, ბრუსსაში, აზიის ნაპირა ქალაქში, ამზადებენ სასახლესა. ამ ნაირად, სჩანს, რომ ხონთქარს აღარა აქვს განზრახვა, როგორც აღრე იწერებოდნენ, რომ აღრიანოპოლში წავიდეს და თვითონვე უწინამძღვროს თავის არმიას ამ ბრძოლაში.

სტამბოლელემა ამბობენო, სწერს ერთი პარიჟელი გაზეთის კორრესპონდენტი, რომ როგორც რუსები მოუახლოვდებიან სტამბოლს და ხონთქარი გადავა აზიაში (ბრუსსაში), იმ წამსვე ჩვენ ყველა მაჰმადიანები გადაეყვებით იმას იქ, და ამ ჩვენ სტამბოლს კი დაეტოვებთ; მაგრამ ისე კი არ მივატოვებთ: სანამ წავიდოდეთ, მთელ ქალაქს ცეცხლს წაუკიდებთ და დავანგრევთ, ისე რომ ქვა-ქვაზედ აღარ დარჩეს ამ ჩვენს მშვენიერ სტამბოლშიო.

— ამბობენ, რომ როგორც კი რედით-ფაშა მოიშორა თავიდან ხონთქარმა და იმის გავლენისაგან განთავისუფლდა, იმ წამსვე მისწერა თურმე მითხნად-ფაშას წიგნი და შეუთვალა, რომ იმისათვის (ხონთქარისათვის) სასიამოვნო იქნება, რომ ის სტამბოლში დაბრუნდეს და ხელი მოუწყოს იმას თავის რჩევითა და მოქმედებით. ამასთანავე ხონთქარმა ვაუგზავნა თურმე მითხნად-ფაშას იგივე ხომალდი „იზნედინი“, რომელზედაც ის დასევს, როცა სტამბოლიდამ გაისტუმრეს. მითხნად-ფაშამ მისწერა სულთანსაო, რომ მე მუდამ მზათა ვარ—რითაც შემიძლია ვემსახურო ჩემს ქვეყანასაო; მაგრამ ამ ჟამად, ჩემის ჰაზრით, მე აქ უსხო ქვეყნებში უფრო საჭირო ვარ, ვინემ მანდაო.

და მითხნად-ფაშა ამის შემდეგ წავიდა მენაში და ახლა ლონდონში აპირებს წასვლას, რომ იქაურ მმართველობაებს ამ ომიანობისა და საზოგადოთ აღმოსავლეთის საქმეების თაობაზე მოელოპარაკოს და აგრეთვე ფულები ისესხოს ოსმალეთის ხაზინისათვის.

— 14 ივლისს ხონთქარს მოუწვრია ხელი იმ ბრძანებაზე, რომლის ძალითაც ლენის არმიის აღრინდელი მთავარსარდალი აბდულ-შერიმ-ფაშა, რედიფ-ფაშა (სამხედრო მინისტრი) და სისტოვოს კამენდანი ჰამდი-ფაშა სამართალში მიეცემიან. აბდულ-შერიმი მისცეს სამართალში იმისთვის, რომ თითქმის უბრძოლველად გადმოეშვა რუსის ჯარი ლენაზე და ბალკანის მთებზედ.

საზრანგეთი

დიდი განხეთქილება სუფევს ამ ქაზმაღ საფრანგეთის სხვა-და-სხვა პარტიებს შუა; სხვა-და-სხვა პარტიები არასოდეს არ სცხოვრებდნენ იქ მეგობრულად, მაგრამ უბედურება, თუ ბედნიერება, ეს არის რომ ახლა ერთმანეთთან დამეგობრებული პარტიები ჩხუბობენ, ჩხუბობენ აგრეთვე ერთი და იმავე პარტიის წევრნი ერთმანეთში. წახუბულან, მაგალითად, ლეგიტიმისტები და ბონაპარტისტები, ბონაპარტისტები ერთმანეთში და აგრეთვე მაკ-მაჰონის პარტიასთან და სხვ.

წამკიდებელია წაჰკიდე, ორივეს თავი წასწყვიტეო! ამბობენ ქართველები და ამაზე უკეთეს ხსენებულ პარტიებისათვის ჩვენ ვერას ვინატროთ, რადგან იმათგან არის, უეჭველია, საფრანგეთი ამ ქაზმაღ ასე დამცირებული.

განსხვავებანი

იხილვა „სისპრის“ ნომრები 1857 წლიდან უკანასკნელ წლამდის. მხოლოდ ზოგი წლისა სრულად არ არის. ფასი სრული წლის ნომრებისა ექვსი აბაზი და თითო ნომრისა ორი შაური-მსურველს შეუძლია მიმართოს მელიქი-შვილის სტამბაში. (3-3)

მეხუთე კარი

„შარაქანიანი“

გამოვიდა და ისეიდება, ტუილსში: მელიქიშვილის სტამბაში და სხვა წიგნის ძალზედში სპარსულიდან ქართულს ენაზე ნათარგმნი თავის სურათებით ფასი 40 კაპ. ორი აბაზი. აგრეთვე ისეიდება შემოხსენებულ ადგილებში I, II, III, და IV კარი ყარაზინანსა. მუთაისში: გუბერნიის სტამბაში სეიმონ ჩომახიძესთან.

პრინციანის კოვკარენი
რისკი-კორსაკოვი
კისრულგს სამეფის წარმოებას,
არაუმის დაწერას და აძლევს და-
რიგებასა.

საღდათის ბაზარი, ლიუტერანთ საყდრის სახლი.

„ქეკეთი“

სარძეო სარდაფს „ქეკეთში“, ყოველ დღე ისეიდება: კარაქი, ნაღები, მცხა ნატეო როგორც ყველი, უდუღარი და ადუღებული რძე და მაწონი.—

ამ ზაფხულს მსურველთა მოჯორშიაც შეუძლიანთ მოითხოვონ ყველაფერი ის, რაც აქ, ქალაქის სარდაფში, ისეიდება, მხოლოდ საჭიროა, რომ დაჩინებმა წინ და წინ გამოუცხადონ სარძეო სარდაფს თავის სურვილი, რომ დანიშნულ დროს სახლზე მიუვიდესთ.

სარძეო სარდაფი „ქეკეთი“ იმყოფება: სასახლის ქუჩაზე, მუხეუმის პირდაპირ, შაბურჯიის სახლებში, სადაც უწინ იყარვის ბიბლიოთეკა იყო.

კავკასიის საგუბიო ინსტიტუტი

მშობიარე ქალები მიიღებენ კოველიის დღე და ღამე; ფასი დღეში 50-კაპ., ღამეში უფასოთ მიიღებან.

ცალკე ოთახების ქირა თვეში 30—50 მანეთამდის არის.

მიღება ავთამყოფი ქალებისა და ყმაწვილების.

ქალის ავთამყოფობისათვის: შოველ დღე, კვირას გარდა, 10 საათიდან 11-დინ—დოქტორი მანაოვი.

მთხშაბათობითა და შაბათობით 12 სათიდან 1-მდინ—დოქტორი რემერტი.

სამშაბათობით და შაბათობით 11-დ 12-მდინ—დოქტორი ალბანუსი.

საყმაწვილო ავთამყოფობისთვის: ხუთშაბათობით 11 სათიდან 12-მდინ და კვირათობით 10-დან 11-მდი—დოქტორი შუა-შაბათობით 12 სათზე რჩევა დოქტორებისა, რემერტის, ალბანუსის და მანაოვის.

ინსტიტუტთან ახლად გაიხსნა განყოფილება, რომელშიაც საქაღებო ავთამყოფობას არჩენენ. ამ განყოფილების საზოგადო ოთახში ავთამყოფთა უნდა აძლიონ დღეში—50 კაპ., ცალკე ოთახში კი დღეში—1 მანეთი.

გამოსცდილი და განათლებული მა-ლი, რომელმაც იცის რუსული, ფრანგული, ანგლიური და ნემენცური, აძლევს **ურსკებს** საფასოთ.

მსურველს ამ ქალის ნახვისა, შეუძლიანთ მიმართოს მაღამ მანონისს. ტეტრალოვის სახლებში მერაქსკის ქუჩაზე.

ქილია და მანა,

თარგმნილი სპარსულიდან ქართულ ენაზედ მეფე მახსანისაგან და გალექსილი საბა სულხან ორბელიანისაგან. სრულათ არის დაწერილი და ყდაში ჩასმული. ფასის გაგება შეიძლება მელიქიშვილის სტამბაში.

რკ. მზა.	დილა.	საღამ.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მ. კაპ	ბირჟა	მან. კაპ	მაჟანდა	მან კაპ.
მთილისი	9 21	5 18			მ.ცი სიტყვა მთილისიდან:		პეტერბურგი, 28 ივლისს		მთილი, 31 ივლისს	
მცხეთა	10 11	6 27	68	38	ქუთაისს, შოთს	1	პრთი მანეთი ღირს:		შქე. თეთ. მანჯისა, ფთ.	1 20
ზორი	11 58	9 43	40	1 23	ზორს, ლუშეთს, სიღნაღს	50	ლონდონში 24 პენსი.	78	შქვილი წითელი.	1
ხაშური	1 29	11 57	92	2 18	როსტოვს, მდესას, მოსკოვს	2	პარიჟში 262 სანტიმი.	81	შერი ფუთი.	70
სურამი	1 44		42	2 46	პეტერბურგს, პარსიას	2	მსკონტი(სარგებლობისთვის)	7 1/2	ბამბა მრევისისა, ფუთი.	7
შვირილა	5 49		81	3 23	მსმალეთში, შვეიცარიაში	3	ბანკის ბილეტი 5%	94	— ამერიკისა, ფუთი.	8 50
რიონი	6 47		6 75	3 75	იტალიაში და საფრანგეთში.	3 50	მოგვბიანი(პირველისესხი)	207	ბავენტილი ბამბა ფთ.	7 80
სამტრედია	7 41		7 73	4 29	ინგლისში	3 75	მოგვბიანი (მეორე სესხი)	207 50	მატელი თუშური ფთ.	6
აბ-სენაკი	—	—	8 57	4 76	ფოჭტა		ბირაოს ფურცლები:		— თარაქამისა ფთ.	3 80
შოთი	9 40		9 75	5 42	ა) მთილისიდან: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე		მთილ. საზნ. ბანკისა.		აბრეშუმში ნუხური სტ.	2 20
შოთი	9 13				კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ.		ხერსონის ბანკის (5 1/2)	83	ქონი, ფუთი.	5 50
აბ-სენაკი	—	—	1 18	66	მ.შურ.—პარასკ. და ორშ. ქანეს—		მოსკოვის (5%)	90 50	ქონის საწთელი ფუთი.	6 20
სამტრედია	11 16		2 6	1 14	სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდან:		აქციები:		სტეარინის საწთელი, ფ.	12
რიონი	12 13		3 4	1 69	მთილისისა და შოთისაკენ—ყოველ		მდესის საეპრო ბანკის	158	ხორცი ძროხისა, ლიტ.	54
შვირილა	1 18	ღამე	3 98	2 21	დღე, კვირას გარდა. მ.შურგეთს—		შოთი-მთილ(რკინ. გზის		— ცხვისა, ლიტრაჟ	54
სურამი	5 12	1 10	5 33	2 96	ორშ. და პარასკ.		შავი ზღვის ცეცხ. გემების	465	სპირტი, გრადუსი	12
ხაშური	5 39	1 37	5 84	3 24	წიგნის გაგზავნა რუსეთში	კაპ	ქაეპზის და მერკურის.	203	შაქარი, შროც. ფუთი	7 80
ზორი	7 5	4 87	3 64	9	და სამზღვარ გარეთ:		პირვ. საზღვევ. საზოგ.	735 50	— ფხვნილი ფუთი	7 50
მცხეთა	8 50	6 59	9 8 5	4	ლია წიგნის	4	პეტერბ. საზღვევ. საზ.	235 50	ქავა გრგვალი, ფუთი	25
მთილისი	9 31	7 56	9 7 5	4 2	დაბეჭდილის (სამი მისხალი)	8	მოსკოვის საზღვევ. საზ.	268	ზეთი ქუჩჯუთისა ფუთ.	9
									მქრო 1/2 იმპერიალი.	7 97